ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №13 (7090) 1 ივნისი 2023 წელი

ეს დღე ჩვენია!
26 მაისს, სრულიად საქართველოში, დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა!

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე—26 მაისი ტრადიციულად გამოირჩა მრავალფეროვანი ღონისძიებებით. ეს დღე სკანდის ისტორიულ ციხეზე დაიწყო, სადაც სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია გაიმართა;

სკანდის ციხეზე საქართველოს დროშის აღმართვის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან მოეწყო დიდი საზეიმო მსვლელობა ეროვნული დროშებით. მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, მსვლელობის მონაწილეებთან ერთად პატივი მიაგეს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ვანო ხუხუნაიშვილს ხსოვნას. შემდეგ კი გვირგვინით შეამკეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა დიდების მემორიალი. მანუჩარ რობაქიძემ პირადად მიულოცა დამოუკიდებლობის დღე იქ შეკრებილ საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

იმავე დღესვე, კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა თემატური ღონისძიება, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი ანსამბლები („იამე“, „იმერეთი“, „მასპინძელო“, „საპოვნელა“, „ჯეო-გენი“), ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისა და სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ადგილობრივი ანსამბლები და ასევე მოქალაქეები შეუერთდნენ.

ღონისძიება მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ემოციებით დატვირთული დღე და ბოლო ზარი

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებში ბოლო ზარი 314 კურსდამთავრებულისათვის დაირეკა.

ამ დღის საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი და რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე.

ხელმძღვანელმა პირებმა კურსდამთავრებულებს, სკოლის დამთავრება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

„მინდა ყველას მოგილოცოთ სკოლის დამთავრება, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა. წინ საინტერესო დღეები გელოდებათ, ახალი გამოწვევებით, შესაძლებლობებით, მეგობრებითა და ურთიერთობებით. ბევრი იშრომეთ, ისწავლეთ და აუცილებლად მიაღწევთ წარმატებას. მჯერა, რომ თითოეული თქვენგანი იპოვის საკუთარ ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში. ვისურვებდი თქვენი შესაძლებლობები ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამოიყენოთ“—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე.

ახალგაზრდებმა საყვარელ გარემოში გატარებული წლები გაიხსენეს, თანატოლებს მაისურებზე სამახსოვრო წარწერები დაუტოვეს, მადლობა გადაუხადეს აღმზრდელ პედაგოგებს და სკოლის კედლები მომავლის წარმატების იმედით დატოვეს.

საზეიმო ღონისძიებებს საკრებულოს წევრები: ელისო მურადაშვილი, ნინო ჩხიკვაძე, მანუჩარ ფანჩულიძე, ჯემალ ისაკაძე და სხვა სტუმრები დაესწრნენ.

ამ თემაზე დაწვრილებით იხილეთ გვ. 3-4

„ჩონგური საქართველოა!!!“

ქალაქ თერჯოლაში, სპორტის სასახლის მიმდებარე სკვერში, თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, გაიმართა მუნიციპალური პროექტის „ჩონგური საქართველოა” დასკვნითი ეტაპი, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები მონაწილეობდნენ. ☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეფასებებით, დავალებებითა და მოთხოვნებით დატვირთული სამუშაო თათბირი...

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ 29 მაისის სამუშაო თათბირი, რომელიც მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერის ხელმძღვანელობით გაიმართა, მერის მოადგილის მირზა ქოჩიაშვილის და თათბირის ტრადიციული შემადგენლობის მონაწილეობით, არჩეული მერის რანგში პირველი იყო მანუჩარ რობაქიძისათვის...

ამდენად, სავსებით ლოგიკურია, რომ ეს შეხვედრა მნიშვნელოვნად იყო დატვირთული შეფასებებით, გაცემული ოპერატიული თუ სამომავლო დავალებებითა და მოთხოვნებით, რომლებიც სულ უფრო ძლიერდება იმ მიზნით, რომ ყველა მუნიციპალურ

რგოლში დასაქმებულმა საჯარო მოხელემ პასუხისმგებლობის ზღვარზე და მაღალხარისხოვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი, იყოს ინიციატორი...

სამუშაო თათბირზე მუნიციპალიტეტის მერმა პირველი შეფასება სწორედ ამ გადასახედიდან გააკეთა და თათბირის მონაწილეებს მოუწოდა, რომ სამსახურეობრივი მდგომარეობა არა მარტო დაკისრებული მოვალეობის მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებას მოითხოვს, არამედ აქტიურ ჩართულობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროცესებში.

ამ თემაზე საუბრისას, მერმა სამაგალითოდ შაბათს, 27 მაისს ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები მოიყვანა, შეაქო მისი ორგანიზატორები, მონაწილეები და აღნიშნა, რომ რესურსცენტრის მიერ შესანიშნავად იყო ორგანიზებული ეს ღონისძიება, რომელიც განხორციელდა როგორც მუნიციპალური პროექტი

„ჩონგური საქართველოა!“ და წარმოადგენდა მის დასკვნით ეტაპს **(აღნიშნული ღონისძიების თაობაზე დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ—რედ.).**

29 მაისის თათბირზე ხელმძღვანელმა პირებმა თითოეული თანამშრომლისგან, სფეროების მიხედვით, შესრულებული სამუშაოებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოისმინეს ინფორმაციები.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მერის წარმომადგენლებს, იმ საკითხებზე დროული რეაგირება დაავალა, რომლებიც მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა, ასევე უახლოეს მომავალში განსახორციელებელი სამუშაოები განუსაზღვრა მათ და ზოგიერთი სამომავლო პროექტიც გააჟღერა.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, ასევე სოციალურ მიმართულებასაც შეეხო და აღინიშნა, რომ თითოეული პროექტი და პროგრამა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება და ოჯახების გაძლიერებას ემსახურება.

„ჩონგური საქართველოა!!!“

1☞

ღონისძიებას რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქეთევან შეყრილაძე უძღვებოდა.

პროექტის ფარგლებში, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხე თავისი კულტურითა და ტრადიციებით, თითოეულმა სკოლამ მათი კუთხისთვის დამახასიათებელი სიმღერები და ცეკვები შეასრულა.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან ერთად შეუერთდა.

მათ ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტისთვის, რომელიც ახალგაზრდების სამშობლოს სიყვარულით აღზრდას ემსახურება.

„ჩონგური საქართველოას” ფარგლებში მოწვეული იყო სპეციალური ჟიური, რომელმაც პროექტი დადებითად შეაფასა, ასევე მზაობა და მხარდაჭერა გამოთქვა სამომავლოდ მუნიციპალიტეტში მსგავსი პროექტების განხორციელების პროცესში.

ღონისძიებას მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, თანამშრომლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

26 მაისს მიეძღვნა

დამოუკიდებლობის დღის—26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, სადაც მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა ქართველ კომპოზიტორთა სხვადასხვა კომპოზიციები შეასრულეს.

კლასიკური მუსიკის კონცერტს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ისაკაძე ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს და სამომავლოდ წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

სამუსიკო სკოლა გამოირჩევა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგებითა და წარმატებული მოსწავლეებით. სკოლის მიზანია ახალგაზრდებს მისცეს დაწყებითი მუსიკალური განათლება, აღზარდოს აქტიური და ინტელექტუალური მსმენელი და ამასთან გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები.

ღონისძიებას ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო, განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები, პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საგზაო ინფრასტრუქტურა... თუზი — გოდოგანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სოფელ თუზსა და გოდოგანში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ჯემალ ისაკაძე და დავით გოგბერაშვილი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცვნენ და დეტალური ინფორმაცია მიიღეს პროექტის ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ.

ამ ეტაპზე, თავასა-თუზის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარი და სანიაღვრე არხები მოეწყობა.

ასევე აქტიურად მიმდინარეობს სოფელ გოდოგანში, ჭიჭინაძეების უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ ანხორციელებს.



ქეთევან შეყრილაძე: „სულ რაღაც რამდენიმე დღე და სასწავლო წელიც დამთავრდება“...

314 კურსდამთავრებულმა უკვე დატოვა სკოლის კედლები და ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ემზადება...

პანდემიის შემდეგ ეს პირველი სრულფასოვანი წელიწადია სრულად დასწრებითი სწავლებით, სხვადასხვა პროექტებითა და აქტივობებით...

საგანმანათლებლო სივრცეში ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმს უბრუნდება...

მიმდინარეობს პირველკლასელთა რეგისტრაცია, რომლის ვადაც 8 ივნისამდე გახანგრძლივდა...

სულ მალე სტარტს აიღებს ერთიანი ეროვნული გამოცდები...

იწყება რეგისტრაცია პროფესიულ პროგრამებზე და მრავალი სხვა...

წელიწადის ამ დროს მნიშვნელოვანი თარიღები იყრის თავს ...

ერთმხრივ ცხოვრების პირველ ეტაპს ამთავრებენ ახალგაზრდები და ფართო შარაგზაზე გადიან, მეორე მხრივ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღეა - 26 მაისი...

გზა დავულოცოთ ამ ლამაზ გოგო- ბიჭებს...

ეს უძვირფასესი მონაპოვარი სწორედ მათი დასაცავი და მოსავლელია. მათმა შრომამ და ბრძოლამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი.

კურსდამთავრებულთა ზარი და მათი „უდიპლომო სასიძო“

ბოლო ზარი. თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

თერჯოლის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა სკოლაში დარეკილი ბოლო ზარის შემდეგ თერჯოლის კულტურის სახლის დარბაზში გადმოინაცვლეს, რომელიც მოსწავლეებით, მასწავლებლებით, მშობლებით და მოწვეული სტუმრებით იყო სავსე.

ღონისძიება სკოლის დირექტორმა რუსუდან უსუფაშვილმა გახსნა. კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება, ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლა მიულოცა და წარმატებები უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თეთრ, ქათქათა მრავალნაირი წარწერებით აჭრელებულ პერანგებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები, ყველა კურსდამთავრებული დაკავებული იყო. მაყურებელმა ნახა ცეკვები (ხელმძღვანელები ირინა და გოჩა ჭანკვეტაძეები), რომელსაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა. ყველა ინტერესით ათვალიერებდა სლაიდებს, კურსდამთავრებულთა ბავშვობისდროინდელ და ზრდასრულობის ფოტოებს, იყო სხვადასხვა ნომინაციები, ერთმანეთის გახსენება-დახასიათებები, მოგონებები ერთად ყოფნის წლებზე, გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა მასწავლებლებისადმი, მადლობა გადაუხადეს ყველა პედაგოგს და პირველ მასწავლებელს ზოია ბუცხრიკიძეს.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა კინოფილმმა

„უდიპლომო სასიძო“. კურსდამთავრებულებს კარგად ჰქონდათ მორგებული როლები, კარგადაც ასრულებდნენ, მსახიობის ნიჭს ავლენდნენ. დიახ, ეს იყო ფილმი, რომლის შეფასება ძნელი აღმოჩნდა, ეს იყო ნამდვილი სანახაობა, კარგი ფილმი და იგი უნდა ნახო. ნახვამდე კი ღონისძიების ორგანიზატორს, სცენარის ავტორს, ყველაფრის თავის მომყრელს და გვირგვინის დამდგმელს თეა რიჟამაძეს ვთხოვე ორიოდე სიტყვით ეთქვა, როგორ მუშაობდა ბავშვებთან.

„დაუვიწყარი იყო ღონისძიების სამზადისის 10 დღე ჩემთვის, განსაკუთრებით კი ფილმზე მუშაობის მომენტები, როგორ ვარჩევდით გადასაღებ ლოკაციებს, როგორ ვმსჯელობდით დეტალებზე და როგორ ნდობას ვგრძნობდი ბავშვებისაგან. არ დამავიწყდება გადაღებების პირველ დღეს ყველა მონაწილე როგორი მომზადებული მოვიდა ფიზიკურადაც და ტექსტობრივადაც, მაშინ მივხვდი რომ შედეგი იქნებოდა დაუვიწყარი, ჩაირთო კამერა და ვხედავდი მაქსიმალურ მონდომებას, პერსონაჟის გაანალიზების პროცესს, ასეთივე ენთუზიაზმით მზადდებოდა სასცენო ნომრები და რაღაც მომენტში ისიც ვიფიქრე, გვერდზეც რომ გავწეულიყავი, არაფერი შეუშლიდა ხელს უკვე მათ წარმატებულ გამოსვლას. ეს განცდა პირველად გამიჩნდა და საბედნიეროდ აღღომ გამიმართლა. ახლა, ამ მშობლიური გაზეთის ფურცლებიდან ვეუბნები ყველა ბავშვს უდიდეს მადლობას, ასევე მარეხი მასწავლებელს, რომელიც მთელი სულით და გულით იყო ჩვენთან, ყველა ადამიანს, ვინც დაუზარებლად დაგვიდგა გვერდით“.

საინტერესოა პირველი მასწავლებლის ზოია ბუცხრიკიძის წერილიც.

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბავშვებო, დღეს ჩვენი სკოლის კედლებში თქვენი მოსწავლეობის ბოლო ზარი დაირეკა. ვფიქრობ და მიკვირს, რა სწრაფად გაფრენილა 12 წელი... თვალწინ მიდგას სექტემბრის ის პირველი დილა, როცა პირველად შემოაღეთ ჩვენი სკოლის კარი, გულაძგერებულებმა მოისმინეთ სანუკვარი ზარის წკრიალი და შემოუსხედით სკოლის ციცქნა მერხებს.

ჩვენ, 4 წლის მანძილზე ერთად ვიყავით, ერთმანეთს შევეჩვიეთ, ბევრი რამ ისწავლეთ, შეიძინეთ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რითაც წარმატებით გააგრძელეთ სწავლა მომდევნო კლასებში. მას შემდეგ, რაც ჩემიდან წახვედით, სიფრთხილით ვადევნებდი თვალს თქვენს სასკოლო ცხოვრებას და მიხაროდა, რომ სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო კლასი იყავით, როგორც სწავლით, ასევე დისციპლინის მხრივ.

დღეს კი, გიყურებთ და მიხარია, რომ ასეთი დიდები, ჭკვიანები, კარგები, ასეთი ლამაზები ხართ და ახალი ცხოვრების სარბიელზე შეგიძლიათ სანდო და მყარი ნაბიჯები გადადგათ.

მახარებს ის, რომ მე ვიყავი თქვენი პირველი მასწავლებელი, მხვდა წილად ის პატივი, პირველს გამეკვლია თქვენთვის სწავლის დიდი გზისაკენ მიმავალი პატარა ბილიკები, მე ჩამენერგა თქვენს გულსა და გონებაში ის პირველი გრძნობები, რასაც მშობლიური ენის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული ჰქვია, რასაც მეგობრობა, სიკეთე, ერთმანეთის სიყვარული, კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისაგან გარჩევა ჰქვია. მჯერა მომავალშიც სიკეთის გზით ივლით. სიკეთეს ყოველთვის სიკეთით ზღავთ და ბოროტებასაც სიკეთით შეებრძოლებით.

ყოველთვის ეცადეთ რაც გიყვართ ის საქმე აკეთოთ და იმით გამოადგეთ სამშობლოს. შეცდომებისა არ შეგეშინდეთ, შეცდომებს არ უშვებს ის, ვინც არაფერს აკეთებს, არაფრის კეთება კი უფრო დიდი დანაშულია.

თქვენ კარგად იცით სწავლის და შრომის ფასი, ამიტომ სრულიად დაიმედებული ვარ თქვენს წარმატებებში და მჯერა, ღირსეულ ადგილს დაიჭერთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

მჯერა ყველა თქვენგანი საკუთარ ადგილს მონახავთ ცხოვრებაში და წარმატებულები იქნებით, მაგრამ მინდა იცოდეთ, წარმატებულიც და წარუმატებელიც მაინც ჩემები ხართ, ერთნაირად მეყვარებით და თქვენი გულშემატკივარი ვიქნები ყოველთვის.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, თქვენ, მაინც ჩემი მოსწავლეების სახელი დაგრჩებათ და მე კი თქვენს მასწავლებლად დავრჩები, რადგან ერთად გატარებული იმ 4 წლის დავიწყება შეუძლებელია.

მადლობა იმ 4 წლისთვის, რომელიც ჩვენ ერთად გავატარეთ, მადლობა იმ გულწრფელი ბარათებისთვის, რომელიც მეოთხე კლასის ბოლოს დამიწერეთ, მათი წაკითხვა საოცრად მითბობს გულს.

ბედნიერია ერი, ქვეყანა, რომელსაც ისეთი მომავალი თაობა ჰყავს, როგორიც თქვენ ხართ.

ვიცი, ბედნიერ მომავალზე ოცნებობთ, მეც ვუერთდები თქვენს ამ სიხარულს, თქვენს საუკეთესო მომავალზე ფიქრს, გილოცავთ დღევანდელ დღეს, ფეხბედნიერი იყოს თქვენი პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე!

მიყვარხართ და მეიმედებით!“

***

წლების განმავლობაში ამ კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სოფო სიუკაევა დეკრეტულ შვებულებაშია, მაგრამ მაინც აქტიურად იყო ჩართული ღონისძიების მოწყობაში, სცენაზეც დადგა მათთან ერთად და საყვარელი ლექსიც წაიკითხა.

კლასის ხელმძღვანელი მარეხი მემანიშვილი ამ კლასისათვის არ იყო მარტო დამრიგებელი, იგი იყო მშობელიც, მეგობარიც, საიმედო საყრდენიც.

მარეხი მემანიშვილი—„თერჯოლის მეორე საჯარო სკოლამ 2023 წელს 33 კურდამთავრებული გააცილა სკოლიდან. ამ ბავშვებისათვის რვა წლის განმავლობაში, მე მხოლოდ საგნის მასწავლებელი კი არა, კლასის დამრიგებელიც ვიყავი. მიუხედავად დღევანდელი ცხოვრების ურთულესი გამოწვევებისა, საოცარი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან, რითაც დავამტკიცეთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა უმთავრესი ღირებულებებია და იმედი მაქვს, ამ გზით ივლიან სკოლის დამთავრების მერეც. ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ მათი წარმატებით. მჯერა, თითოეული მათი გადადგმული ნაბიჯი თერჯოლის მეორე საჯარო სკოლას, მთელ რაიონს, ასახელებს და გაახარებს“.

XII კლასი ერთ-ერთი საუკეთესო კლასი იყო, ჰყავთ წარმატებულები, ვნახოთ რა იქნება, წინ ეროვნული გამოცდებია, ყველა მათგანს გადაწყვეტილება მიღებული აქვს.

***

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე და რესურსცენტრის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს დეპუტატთა ერთი ნაწილი, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები. შეკრებილთ მიესალმა ქეთევან შეყრილაძე.

***

ბოლო ზარის ამ ღონისძიებას არჩეული მერის რანგში პირველად ესწრებოდა ბატონი მანუჩარ რობაქიძე, რომელმაც შეხვედრაზე მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დიდი ნდობისათვის და მათ ამ პოსტზე თავდაუზოგავ, შემართებით, კეთილსინდისიერ და მაღალი პასუხისმგებლობით მუშაობას დაპირდა გუნდთან ერთად მან ახალგაზრდებს მიულოცა სკოლის დამთავრება, უსურვა ღირსეული ადგილის პოვნა ცხოვრებაში, შესაძლებლობების სრულად გამოყენება თერჯ ოლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***

ღონისძიების დასასრულს ქალბატონმა რუსუდან უსუფაშვილმა კიდევ ერთხელ მიულოცა, მადლობა გადაუხადა კურსდამთავრებულებს, პედაგოგებს, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ღონისძიების ასე ლამაზად ორგანიზებაში და თითქმის ცრემლმორეულმა, სიამაყით თქვა—არავინ თქვას რუსუდან მასწავლებელს შვილები არ ჰყავსო—აი, ჩემი შვილებიც და ხელი იმ ოცდაცამეტი კურსდამთავრებულისკენ გაიშვირა, რომლებმაც დაიპყრეს სცენა. ნამდვილად ქალბატონო რუსუდან—თქვენ ის ქალი ხართ, რომლისნაირებზედაც უთქვამს პოეტს—მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო—თქვენ ის ქალი ხართ, ვისაც ჰყავს სისხლისმიერი უახლოესი ადამიანები, ჰყავს უამრავი აღზრდილი, ეყოლება კიდევ მრავალი და მარტო არასდროს დარჩებით.

***

დამთავრდა ბოლო ზარის ზეიმი. კურსდამთავრებულებმა თქვეს სათქმელი აქ და იტყვიან მომავალშიც. ეს იყო ღონისძიება საქმიანი, საზეიმო, მრავლისმთქმელი, იუმორით შეზავებული, ცოტა სევდიანი, უფრო მომავალზე გათვლილი.

ჟუჟუნა ცხადაძე

საინტერესო ჩანაფიქრი, საინტერესო განხორციელება

1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ახალთერჯოლა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში მრავალი ღონისძიებით აღინიშნა, მაგრამ ახალთერჯოლის ბაღში ამ დღეს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა, განსაკუთრებული სითბო და ელფერი ახლდა.

არ ვიცი ბაღის დირექტორმა ხათუნა გავაშელაშვილმა, რომელსაც ამ ბაღში მუშაობის 35 წლის გამოცდილება აქვს, როგორ დაგეგმა, რა საუბრები ჰქონდა თანამშრომლებთან, მაგრამ ჩანაფიქრი, რომ კარგი იყო და კარგად განხორციელდა, ფაქტია.

საუკუნის სიმძიმე, 75 წლის შვილი და ფიქრები მომავალზე...

2023 წლის აპრილში ახალთერჯოლაში მცხოვრები ეკატერინე ქასრაშვილი-არაბიძე 100 წლის გახდა. იცნობდნენ ახალთერჯოლის ბაღის თანამშრომლები ამ ქალბატონსაც და მის ოჯახსაც, მაგრამ მაინც დააზუსტეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და აღმოაჩინეს, რომ იგი ასაკის მიუხედავად მხნედ გამოიყურება, გადაწყვიტეს მასთან სტუმრობა და დაბადების დღის მილოცვა, რაც თავისთავად იყო თაობათა შეხვედრაც და ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნაც. მზაობის ჯგუფის რვა აღსაზრდელის, ბაღის დირექტორის, აღმზრდელ-პედაგოგების, მერის წარმომადგენლის და ასისტენტების სტუმრობა ეკატერინე ბებოსთან ნამდვილი დღესასწაული იყო. ეკატერინე ბებოს სპეციალურად „დააყარეს“ კითხვები. ოჯახის წევრებმაც კი და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ათქმევინეს, როგორ დაუკავშირა ბედი მრავალი ბარდუბნელის და არა მარტო ბარდუბნელი ახალგაზრდების ოცნების ქალმა ახალთერჯოლაში მცხოვრებ სევერიან არაბიძეს „გარიგებით გავთხოვდი, პირველად უარზე ვიყავი, არ მომეწონა სასიძო, თან ათი წლით უფროსი იყო ჩემზე, მეჩხუბა დედა—როგორ იწუნებ ამისთანა კაცსო. ბოლოს მაინც დავთანხმდი, ეტყობა ბედი იყო, გავყევი და ბედნიერი ვიყავი“.

კარგა ხანია ეკატერინეს მეუღლე გარდაცვლილია, ტრაგედიამ დაღი დაასვა ეკატერინეს და ოჯახს, მაგრამ სიცოცხლე გაგრძელდა, ამ დიდ ოჯახში. ოთხი შვილი: ჯამბული, ჯიმშერი, ზურაბი, გულო, 10 შვილიშვილი, 21 შვილთაშვილი ეკატერინესათვის ყველაფერია. გადავთვალეთ და სევერიან არაბიძის ფუძეზე შვილიან, რძლიან, სიძეებიანად 51 გამოვიდა. როცა ოჯახის „გაფანტული“ წევრები ტრადიციულ დღესასწაულებზე და ეკატერინეს დაბადების დღეს 20 აპრილს ერთად შეიკრიბებიან სიცოცხლის წლები ემატება და ბედნიერება ისადგურებს მის გულში. ეკატერინე ჯიმშერთან და რძალთან, მზია არაბიძესთან, ცხოვრობს, ახლა უვლიან, მზრუნველობენ, ისიც ამაყობს იმით, რომ კარგი შთამომავლობა ჰყავს. ნეტა თუ ახსოვს ყველას სახელიო—ფიქრობდნენ სტუმრები, მაგრამ ეს კითხვა ვერ დავსვითო—თქვეს.

და არის სოფელ ახალთერჯოლაში ქალი, საუკუნის სიმძიმით, წლებით დაღლილი, მაგრამ მხნედ, არის „უთვალავ“ შთამომავლობით გარემოსილი და ფიქრობს მათზე, თავისთავზე, ოჯახზე, თავისებურად მომავალზედაც.

„გახარებული ეკატერინე ბებო“

ასე დაარქვეს მზაობის ჯგუფის ბავშვებმა ამ შეხვედრას. ძალიან გაიხარა ეკატერინემ ბავშვების სტუმრობით, გაიხარა მათი სიმღერებით, ლექსებით, ყვავილები და ტკბილეულიც მიართვეს, რითაც მისდამი პატივისცემა და თანადგომა გამოხატეს. „ისე მიგვიღო და გაიხარა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით, კმაყოფილებას ვერც ოჯახის წევრები ფარავდნენ, ოჯახიც რომ სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. ბაღის თანამშრომლებმა მადლიერება გამოხატეს სოფლის მკვიდრ კოტე ზარნაძის მიმართ, რომელიც ბაღს ტრანსპორტირებით დაეხმარა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ასე ლამაზად აღნიშვნა იშვიათობაა, ამის შესაძლებლობა ბაღის კოლექტივს, ეკატერინე ბებოს არსებობამ მისცა, ხათუნა გავაშელაშვილი ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა. ნეტა კიდევ დიდხანს იცოცხლოს ამ მშვენიერმა ქალბატონმა, ნეტა მომრავლდნენ საუკუნეს მიღწეული ადამიანები, ეს სურვილი გამოჰყვა ყველას.

***

1981 წლიდან არსებობს ახალთერჯოლის ბაღი, 2016 წელს კი ახალი ბაღის გახსნა იზეიმეს. ბაღი გათვლილია 30 აღსაზრდელზე. ბაღის ღვაწლმოსილ დირექტორს ხათუნა გავაშელაშვილს გავლილი აქვს ტრენინგები, არის მრავალი სერთიფიკატის მფლობელი, აღმზრდელ-პედაგოგი ნარგიზ ჭანტურიძე 38 წელია ამ სამსახურშია, სერთიფიცირებულია და გავლილი აქვს ტრენინგ-მოდული. მუსიკას ხათუნა ჭანკვეტაძე ასწავლის, იგი სისტემატურად ატარებს გასართობ და თემატურ დაგეგმილ პროექტებს. ბაღში ხშირად ტარდება ღია მეცადინეობები და აქტივობები, მჭიდრო კავშირი აქვს სკოლასთან, ბიბლიოთეკასთან. ბაღში ბევრი კეთდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, რაც ბაღის თანამშრომლების და მშობლების კმაყოფილებას იწვევს. დიდ დახმარებას უწევთ მუნიციპალიტეტის მერია, ახლახან მერის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით 500 ლარის სათამაშოები შეუძინეს პატარებს.

ბაღის ყველა თანამშრომელი—მეორე ცვლის აღმზრდელი შორენა ბუსკივაძე, აღმზრდელის თანაშემწეები დარეჯან ლილუაშვილი და ხათუნა ცხადაძე, ძიძა სანიტარი სოფო ბერაძე, მნე ჟანა კუხიანიძე, მზარეულები თინა და დოდო ცხადაძეები ერთად ზრუნავენ აღზარდონ განათლებული და ჯანმრთელი თაობა.

ყველას და ყველაფერს ხათუნა გავაშელაშვილი ხელმძღვანელობს. მისი ძალისხმევით ბაღი ერთ-ერთი მოწინავეა, ამ ბაღში ბევრი სასახელო თაობა აღიზარდა. მას ჰყავს თანამშრომლები—ექთანი ნანა ლეთოდიანი, ფსიქოლოგი ნატო გაბრიჭიძე, რომლებიც ამ ბაღში აღზრდილები არიან, ახლა კი თვითონ ზრდიან. ხათუნა ამაყობს, რომ გვერდში უდგანან აღზრდილები: მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გიგა კუბლაშვილი და მისი თანამშრომლები მანანა გურული და თემურ ბუცხრიკიძე.

თბილისში მცხოვრები ექიმი თერაპევტი ირაკლი ცხადაძე, ჟურნალისტი ნესტან ჩაგელიშვილი, რომლებიც ამ ბაღში აღიზარდნენ, ხშირად ეხმიანებიან.

***

მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები, რომლებიც 1 ივნისს, ბაღის დირექტორმა და სხვა თანამშრომლებმა ბავშვთა დაცვის დღეს, ეკატერინე ბებოსთან 100 წლის იუბილის მისალოცად მიიყვანეს, წელს სკოლაში მივლენ. გაივლის ათეულობით წლები, კვლავაც იარსებებს ეს ბაღი, ამ და ახალი თაობებით, ისინი დაბერდებიან, სხვები დაიზრდებიან და მივლენ ერთმანეთთან მსგავს საინტერესო და შთამბეჭდავ ღონისძიებაზე.

„მზეკაბანი“: 19 მაისი— ბოლო ზარი; 3 ივნისი—„რა, სად, როდის“?

...აბჟანდაძე ნიკოლოზი, ანაკიძე ანი, გამსახურდაშვილი ელენე, გედენავა მარიამი, გვენეტაძე ნიკოლოზი, გოგიაშვილი ლადო, კაჭკაჭიშვილი გიორგი, კირკიტაძე ტარიელი, მაკარიძე ანა, მარუაშვილი მარიამი, რობაქიძე მარიამი, ცხადაძე ანა, წიწილაშვილი ნინო, ხოშტარია ნატალი... მათ დაამთავრეს შპს „მზეკაბანი 2007“—კერძო სკოლა და თოთხმეტივემ მაღალი აკადემიური მოსწრებით, ხუთი კი—ანი, ელენე, ტარიელი, ანა, ნატალი ოქროს მედალოსნები არიან.

ქალბატონი აზა მემანიშვილი, კლასის ხელმძღვანელი არნოლდ დოლაკიძე, პედაგოგები იმედიანად არიან, „მზეკაბანი“ 15 წლისაა, სკოლის ყველა გამოშვების ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა, თითქმის ყველა გრანტით, ან უფასო ფაკულტეტის, ბევრმა დაამთავრა, ბევრი ისევ სტუდენტია და პედაგოგებმა თითოეულის ცხოვრება იციან, იციან სად არიან, როგორ არიან... კურსდამთავრებულებიც ხშირად სტუმრობენ სკოლას, ან ეხმიანებიან, ისე, შორიდან.

ასე იქნება ეს გამოშვება, მაგრამ მანამდე წინ ეროვნული გამოცდებია, თოთხმეტივეს არჩეული აქვს მომავალი პროფესია, სასურველი უნივერსიტეტი და ფაკულტეტი, ეროვნული გამოცდებისათვის კი იქვე, თავიანთ სკოლაში, ისევ „მზეკაბანელ“ პედაგოგებთან კიდევ ერთ თვეს იმეცადინებენ.

ტრადიციული ბოლო ზარი „მზეკაბანშიც“ დაირეკა. ამჯერად XI კლასის მოსწავლეები აქტიურობდნენ (ხელმძღვანელი ინგა გაბრიჭიძე)—გაცილება სწორედ მათ მოუწყვეს კურსდამთავრებულებს, წარმოადგინეს თითოეული მათგანი და სრული სურათი მოგვცეს—

„ვინ ვინ იყო“. დიახ, იყო საზეიმო განწყობილება, იმის გაცნობიერება, რომ ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლა ბევრს ავალებთ, იყო სევდა, ცრემლიც. კურსდამთავრებულებმა თავიანთ გამოსვლებში გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა პედაგოგთა მიმართ, მადლობა გადაუხადეს თავდაუზოგავი შრომისთვის და დადეს ერთგვარი ფიცი, რომ ამაგს არ დაივიწყებენ, ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან.

***

ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, პედაგოგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, „მზეკაბანელებს“ სკოლის დამთავრება მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, წარმატებები და მშვიდობა უსურვა დამსწრეთ და ყველა კურსდამთავრებულს.

3 ივნისი—„რა, სად, როდის“?

კურსდამთავრებულები: ტარიელ კირკიტაძე (კაპიტანი), ანა ცხადაძე, ელენე გამსახურდაშვილი, XI კლასის მოსწავლეები: ვახო პატარიძე, ნინი მაჭარაშვილი, გვანცა ქარქაშაძე 3 ივნისს თბილისში წავლენ. სწორედ ინტელექტუალების ეს ექვსეული დაიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ღირსებას ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ (წამყვანი ბატონი გიორგი მოსიძე).

***

...რამდენიმე წელი გავიდა „მზეკაბანის“ დამაარსებლის და პირველი დირექტორის ნინელი გვენეტაძის გარდაცვალებიდან, დრომ ვერ განკურნა ტკივილი, რომელიც განიცადა სრულიად თერჯოლამ და ყველაზე ძალიან „მზეკაბანელებმა“. მას შემდეგ ყოველ დაბადების და გარდაცვალების დღეს მიდიან „მზეკაბანელი“ მოსწავლეები და პედაგოგები ნინელის საფლავთან, მიდიან ყოფილი მოსწავლეები და კურსდამთავრებულები.

ასე მოხდა ამჯერადაც, კურსდამთავრებულებმა ღონისძიების მსვლელობისას არაერთხელ გაიხსენეს ნინელი მასწავლებელი, უამრავი ყვავილი მიიტანეს მის საფლავთან და ცრემლიც დაღვარეს, მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია, მის საფლავთან მისასვლელ ბილიკზე ბალახი არასდროს ამოვა—სიკვდილი ყოველთვის მართლაც არ არის სიკვდილი.

***

კურსდამთავრებულები ისევ სკოლაში დაბრუნდნენ, XI კლასელებიც დახვდნენ და კიდევ გაგრძელდა საზეიმო ღონისძიება.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ცხადაძემ

„ანდიტრი“ ჩაის კრეფას შეუდგა

შპს „ანდიტრი“, რომელიც ეწრელმა ენთუზიასტმა ძმებმა ელგუჯა და გრიგოლ ბიწაძეებმა დააარსეს, რაიონში ის პიონერია, რომლითაც თერჯოლის მუნიციპალიტეტში ამ კულტურის აღორძინება უნდა დაიწყოს. ძმების საქებად უნდა ითქვას, რომ აჩეხვას გადარჩენილი, გაველურებული პლანტაციებიდან ნედლეულის აღება დაიწყეს და ისეთი პროდუქცია გამოუშვეს, რესპუბლიკაში კი არა, მის საზღვრებს გარეთ სალაპარაკო რომ გახდა. კერძოდ, გურიაში, ჩაის კულტურის სამშობლოში, „ჩაის გზის“ ეგიდით მოწყობილ კონკურსში „გრანპრი“ დაისაკუთრეს, ხოლო ჩინეთში, სადაც ჩაის კულტურა რელიგიის რანგშია აყვანილი, ჩაის საერთაშორისო ფესტივალზე, ნომინაციაში „საუკეთესო არომატი“ პირველი ადგილი დაიკავეს. დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ახალფეხადგმული საწარმოსათვის ეს რამოდენა წარმატებაა, ხოლო თერჯოლისათვის საამაყო, მითუმეტეს, რომ თბილისში ახლადგახსნილ ჩაის მუზეუმში, ექსკურსანტებს შორის, „ანდიტრის“ პროდუქციას საპატიო ადგილი უკავია ყველა თავისი რეგალიით.

წლების მატებასთან ერთად საწარმოს საქმიანობა სულ უფრო სრულყოფილი ხდება. თუ თავიდან კუსტარული წესით ამუშავებდნენ ნედლეულს დღეს უკვე აქვთ თანამედროვე ჩაის ფაბრიკისათვის შესატყვისი ტექნოლოგია, აღჭურვილი საგრეხი, საფერმენტაციო, საშრობი დანადგარები. ადგილზე ხდება ნაწარმის დაფასოება. თავისი უნიკალური თვისებების გამო თერჯოლურ ბიოჩაიზე დიდი მოთხოვნილე-

ბაა, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამწუხაროდ, პროდუქციის ოდენობა გარკვეულ მიზეზთა გამო (პლანტაციების სიმცირე) შეზღუდულია.

ყველაზე კარგი ჩაი მაისის თვეში იკრიფება საერთოდ და ახლა, როცა ჭირვეული ამინდების მიუხედავად, კრეფის სეზონი აქტიურ ფაზაშია. დავუკავშირდით საწარმოს მესვეურს ელგუჯა ბიწაძეს და საქმიანობის მიმდინარეობაზე საუბარი ვთხოვეთ. როგორც გვითხრა, იგი მადლიერია გაზეთის რედაქციის ყურადღებისათვის, რომ მათი საწარმოს პატარა მიღწევებს (თავად ასე თვლის) საზოგადოებას ამცნობს. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, „ჩაის დიდი გზა“ თერჯოლაში აუცილებლად გაივლის, ამბობს ბატონი ელგუჯა. ამისათვის მუნიციპალიტეტის სავარგულები კარგ შესაძლებლობას იძლევა. ხომ ფაქტია, რომ თერჯოლაში საუკეთესო ხარისხის ჩაი მზადდებოდა ადრეულ წლებში, ვიდრე მავნებლურად მის აჩეხვას არ დააწყებინებდნენ მშრომელებს. გვიხარია, რომ ჩვენმა მეცადინეობამ გაამართლა, როცა აჩეხვას გადარჩენილი გაველურებული პლანტაციიდან ნედლეულის აღება დავიწყეთ. გამოჩნდნენ მოხალისე მკრეფავები, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ღირსეულ ანაზღაურებას ვაძლევთ. ოჯახებს ამ გაჭირვებულ დროში, დამატებითი შემოსავალი გაუჩნდათ. ძირითადად ნედლეულს ეწერში, ზედა სიმონეთში და ძევრში ვიწევთ. თუ ადრე პლანტაციებში ეკალ-ბარდების გამო შესვლა არ შეიძლებოდა, სადღეისოდ 5 ჰექტარი მასიური ფართობიდან 70-75% გაწმენდილია და მკრეფავებს შრომა გაუიოლდათ. საჭირო ინფრასტრუქტურა თანდათან მოგვყავს წესრიგში ისე, რომ უკვე საწარმოს საქმიანობის გასაცნობად უცხოელ ტურისტებსაც ვღებულობთ. გასულ წელს ჩვენთან იყვნენ ტურისტები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან... მათ თავისი ხელით მოკრიფეს ჩაის ფოთოლი, თავისივე ხელით გადაამუშავეს და მზა პროდუქცია თან წაიღეს, მატერიალურთან ერთად მადლიერება, სითბო და სიყვარული დაგვიტოვეს.

ეგაა ტურისტები სხვაგან წავიყვანეთ მოსასვენებლად. ამ ფაქტმა გვიბიძგა, რომ პატარა მინისასტუმრო გავაკეთოთ. საამისოდ კოტეჯი უკვე გავმართეთ. ამ წელში შევძლებთ კეთილმოვაწყოთ. ჩაის ფართობებსაც გავწმენდთ მთლიანად და გავაკეთილშობილებთ.

გრძელდება ჩვენი საწარმოს ურთიერთობა ქუთაისის პროფესიულ კოლეჯ „იბერიასთან“ ხელშეკრულების საფუძველზე. კოლეჯის სტუდენტები ჩვენთან გადიან საწარმოო პრაქტიკას და უშუალოდ მონაწილეობენ პროდუქციის შექმნაში კრეფიდან დაფასოებამდე.

გაგვიჩნდა შესაძლებლობა გარკვეული ქველმოქმედება გავწიოთ. კერძოდ, დახმარებაში, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია ობოლ ბავშვებს (მამა ომში დაეღუპათ ან სხვა მიზეზით აღარა ჰყავთ) სასაჩუქრე პაკეტში სხვა პროდუქტებთან ერთად ჩვენი ნაწარმიც იყო.

გვაქვს სხვა გეგმებიც, რომელიც უფრო სრულყოფილს გახდის შპს „ანდიტრის“ საქმიანობას, გაზრდის პროდუქციის მოცულობას, რადგან მოთხოვნა ჩვენს ბიოჩაიზე ძალიან დიდია, როგორც ადგილობრივად რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ. ყოველნაირად შევუწყობთ ხელს, რომ „ჩაის გზამ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტში გაიაროს.

ქრისტინე, მარიამი: ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდებით

თითქოს გუშინ იყო, აფხაზეთის ზღაპრული მიწა-წყლიდან დევნილი, ჩვენი სისხლი და ხორცი, სიკვდილს რაღაც სასწაულებრივად გადარჩენილნი „საპოვნელას რომ შემოიხიზნენ და აქ განთავსებულ კორპუსში დაიდეს ბინა. ბევრმა ჩემოდნებიც კი არ გახსნა მალე უკანდაბრუნების იმედით. სამწუხაროდ, მას შემდეგ უკვე 3 ათეული წელი გავიდა, მაგრამ...

ნათქვამია ყველაზე ბოლოს კვდება იმედი და შინ დაბრუნების იმედით ცოცხლობენ დღეს, უკვე თერჯოლის მკვიდრად გამხდარი, აფხაზეთიდან დევნილები. მათ შორის: იგორ ჭაბუკიანი, ჯამბული შონია, რაულ კვანტალიანი, შორენა უბირია, ნანა აბულაძე, სხვანი და სხვანი. მათი შვილები დევნილობაში დაიზარდნენ და ბევრი მათგანი უკვე ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული, როგორც ახალგაზრდა თაობა.

ჩვენს სამეზობლოშია, აგერ რობაქიძის ქუჩაზე მდებარე სახლში, მცხოვრები ოჯახი, აფხაზეთის ომის ვეტერანის იგორ ჭაბუკიანი და მისი მეუღლე ლელა თერჯოლაში დაქორწინდნენ (სახლი მოსკოვში სამუშაოდ წასულმა დამ შეუძინათ), მეურნეობა მოაწყვეს და საკუთარი ხელებით მოიწევენ „პურს არსობისას“. ორი ქალიშვილი აჩუქათ ღმერთმა, ისეთები აღიზარდნენ ქუჩის თვალიაო რომ იტყვიან. სახელებიც შესანიშნავი აქვთ: ქრისტინე და მარიამი. ქრისტინემ შარშან დაამთავრა №2 საჯარო სკოლა, ბეჯითი მოსწავლე იყო, იყოჩაღა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის (ინგლისურის) სტუდენტი გახდა. მარიამი წელს ამთავრებს ამავე სკოლას და ეჭვი არაა უფროს დასავით წარმატებით შეაღებს უმაღლესი სასწავლებლის კარს. მანამ კი, სწავლასთან ერთად, მხარში უდგას მშობლებს და ოჯახის ტვირთს უიოლებთ.

სამეზობლოში ყველას პირზე აკერია კარგი შვილები ჰყავთ ჭაბუკიანებსო. გვერდს ისე როგორ ჩაგივლიან არ მოგესალმონ, გულთბილად არ მოგიკითხონ. ბევრი მათი თანატოლი უცხოეთშია უკვე გადახვეწილი სამუშაოდ. აქვს ამას თავის მიზეზები და მათ განსჯას არც ვაპირებ. ის კი მინდა ვთქვა, რომ ჩვენი წერილის ადრესატებს ქრისტინეს და მარიამს საქართველოდან წასვლა არ უნდათ და როგორც მათი მამა გეუბნება, ასეთ რამეზე ფიქრსაც კი გაურბიან.

თუ სადმე წავალთ თერჯოლიდან, ეს იქნება აფხაზეთი, სადაც ჩვენი მშობლების და წინაპრების მიწა-წყალი და კერა გველოდება, ღმერთმა ინებოს იქ ჩვენი მშობლების და ყველა დევნილის დაბრუნება, ქვეყნის გამთლიანება და აყვავებაო.

როგორია დების შემეცნებაში აფხაზეთი, რა იციან მათ ამ ზღაპრული მხარის შესახებ? ამ კითხვაზე ქრისტინესა და მარიამის პასუხები, ისე როგორც ყველა, დევნილობაში დაბადებულ თაობის წარმომადგენლის იდენტურია: რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, იქ დაბრუნება, ასაკის მიუხედავად, ყველა დევნილისა და მათი შვილების გაუნელებელი ოცნებაა.

მარიამი: აფხაზეთი კი არა ზღვაც კი ჯერ ხეირიანად არ მინახავს, მაგრამ ამ მხარის შესახებ ძალიან ბევრი რამ ვიცი, არა მარტო სასკოლო ლიტერატურიდან, არამედ უფროსების გადმოცემით. ჩვენს სახლში ხშირად იკრიბებიან მამასავით იქედან დევნილები, ჭიქა ღვინით გულის დარდს იქარვებენ და მეტი სალაპარაკო რა აქვთ თუ არა აფხაზეთი. აფხაზეთის ცნობილი ადგილები,—ბიჭვინთის კონცხი, რიწის ტბა, ახალი ათონის მღვიმე თუ შავი ზღვა თავისი მცურავი მზითა და ოქროსფერი პლაჟებით მათი საუბრის მუდმივი თემაა, ავადსახსენებელი ძმათა მკვლელი ომით და ორივე ხალხისათვის სავალალო შედეგებით. ვუსმენ მათ და ჩემს თვალწინ ცოცხლდება მწარე სინამდვილე, ლტოლვილად ქცეული ძირძველი ქართული მოსახლეობის აყრა-განდევნა საკუთარი საცხოვრებლიდან. მე ჯერ სკოლის მოსწავლე ვარ, სურვილებიც უამრავი მაქვს და ერთ-ერთი უმთავრესი, მათ შორის ჩემიანების, აფხაზეთში დაბრუნება და ამ დროს მათი გაბრწყინებული სახეების დანახვაა. ვიცი, ბაბუა აკაკი (მამაჩემის მამა) ამ დარდს თან წაიღებს, მაგრამ თუ ჩემი მშობლები და მამიდა ეღირსება აფხაზეთში დაბრუნებას და მეტყვის აი, შვილო ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი, იგი კვლავ ჩვენია და მოუარეთ, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

ქრისტინე: რა თქმა უნდა ბევრი ვიცით აფხაზეთის შესახებ. როგორც დევნილთა შვილები ვალდებულნიც ვართ ყველაფერი ვიცოდეთ ამ ზღაპრული მხარისა. საქართველოს გაერთიანება თავის დროზე სწორედ აფხაზეთიდან დაიწყო. იგი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო ქვეყნის. დღეს იგი ოკუპირებულია აგრესორის მიერ და რა თქვმა უნდა ცუდ დღესა და მდგომარეობაშია. ამ ფაქტს გუმანით გრძნობდა ალბათ პოეტი შოთა ნიშნიანიძე, როცა თავის დიდებულ ლექსში აფხაზეთზე გააჟღერა ასეთი სტრიქონები: „ო, აფხაზეთო, მრავალ კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“. არცერთ მხარეზე არაა დაწერილი იმდენი ლექსი და შემდეგ სიმღერად ქცეული, რამდენიც აფხაზეთზე. ესეც იმ ჩვენი ძირძველი მიწა-წყლის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. დრო ელვასავით გადის და რაც მეტად ემატება წლები წლებს, მით უფრო იკლებს იმედი აფხაზეთის კვლავ შემოერთება-შემომტკიცებისა. როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ „ეს მეტად რთულია“, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ არა შეუძლებელიო. მინდა მჯეროდეს, რომ ადრე თუ გვიან ეს ნანატრი დღე გათენდება. წინა თუ არა ახალი თაობა აუცილებლად დაბრუნდება აფხაზეთში. ჩავალთ და ვეტყვით სასიქადულო პოეტის გალაკტიონის სიტყვებით: ჩვენ მოვედით, „გამარჯობა აფხაზეთო შენი, ლურჯო ზღვაო, თეთრო სანატორია“...

გვერდის ავტორი
ი. ერაძე

ნინელი სულამანიძე: მასწავლებელი „ღვაწლმოსილის“ წოდებით...

რამდენადაც არ უნდა იცვლებოდეს ქვეყანაში მოვლენები, ღირებულებები, ფასეულობები, ერთი რამ უდავოა, რომ „მომავალი განათლებაშია“, განათლებას კი სკოლაში ეყრება საფუძველი. დიახ, სკოლაა ის ადგილი, სადაც იძერწება და იწრთობა ქვეყნის მომავალ მოქალაქეთა, თუ მესაჭეთა ჭკუა-გონება და აზროვნება. არ არის სულერთი ვინ მოძღვრავს, ვინ წარმართავს მომავალ თაობათა სწავლისა და აღზრდის უმნიშვნელოვანეს გაკვეთილებს...

ჭეშმარიტება ისაა, რომ მხოლოდ მოწოდებით, სულით, გულით, მუდამ განვითარებასა და ცოდნის შეძენის პროცესში, დიდი პასუხისმგებლობის მქონე მოძღვარ-მასწავლებელს ხელეწიფება ფეხი აუწყოს თანამედროვეობას და ქვეყანას სათანადო ცოდნით შეიარაღებული, კარგად აღზრდილი, სრულფასოვანი მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი აღუზარდოს...

სწორედ ასე და ამგვარი ფუნქციით წარმოედგინა თავისი თავი სასკოლო განათლების სფეროში ქალბატონ ნინელი სულამანიძეს, რომელიც ორმოცდარვა წლის წინ დაწყებულ მასწავლებლობას, მთელი ამ წლების განმავლობაში, თანამდებობების შეთავაზებების მიუხედავად ვერ შეელია და დღესაც ამ სულისკვეთებით წარმატებით აგრძელებს.

პირველი გაკვეთილი 1975 წლის 15 იანვარს ჩაატარა კვახჭირის საშუალო სკოლის მე-7 კლასში. კარგად ახსოვს ის შეკითხვაც, რომელიც სათვალიანმა ბიჭმა დაუსვა... შემდეგშიც ის ყმაწვილი სისტემატიურად უსვამდა შეკითხვებს და იღებდა პასუხებს. დღემდე აბედნიერებს ნინელი მასწავლებელს მისი სიტყვები, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შემთხვევით შეხვედრისას უთხრა: „თუ იცით, რომ თქვენნაირი ისტორიის მასწავლებელი არც გვყოლია და არც გვეყოლებაო“.

„სკოლას, მოსწავლეებს ვერაფერში ვერ გავცვლიდი—ამბობს „თერჯოლასთან“ საუბარში. ჩემთვის სკოლა იყო იდეალური ადგილი, სადაც სრულად მოვახერხე ჩემი პიროვნების და ცოდნის რეალიზაცია“...

ჩემი მიზანი იყო და არის ვიყო კარგი მასწავლებელი და სრულყოფილად შევასრულო მასწავლებლის მისია, ვასწავლო ჩემი საგანი კარგად“... ამის შედეგი კი ის არის, რომ მისი მოსწავლეები სხვადასხვა დროს სასწავლო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში წარმატებით მონაწილეობენ და ღებულობენ სხვადასხვა ჯილდოებს.

ერთ-ერთმა მათგანმა, მე-12 კლასელმა ირმა ბრეგაძემ, გასულ წელს „1918-1921 დამოუკიდებელი საქართველოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღო საპატიო სიგელი. მიმდინარე სასწავლო წელს კი წარმატებით გაიარა პირველი და მეორე ტური ისტორიის საგნობრივ ოლიმპიადაზე, ასევე გაიარა მესამე დასკვნითი ტური ქ. თბილისში და იმედოვნებს, რომ არც ბოლო ტური იქნება წარუმატებელი...

ნინელი სულამანიძე 1952 წელს დაიბადა ზედა სიმონეთში, დაამთავრა აღნიშნული სოფლის სკოლა 1968 წელს, ხოლო 1973 წელს—ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. რამდენიმე თვე დაჰყო ჯერ ზ. სიმონეთის სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად, შემდეგ სიქთარვის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1975 წლიდან კვახჭირის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელია, ხოლო 1986 -1997 წლებში ნახშირღელის საშუალო სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი. 1997-2006 წლებში ზედა სიმონეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორია, პარალელურად ასწავლის ისტორიას, ხოლო 2006 წლიდან დღემდე ზ. სიმონეთის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელია.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა (დირექტორი გია ქასრაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე ირინა აბულაძე), სადაც ქალბატონი ნინელი უკვე 17 წელია მასწავლებლობს, ერთ-ერთი გამორჩეულია მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საუკეთესო ტრადიციებით... მოსწავლეთა სწავლებასა და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას ემსახურება ძირითადად ახალგაზრდული, უნარიანი პედკოლექტივი...

სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში და წარმატებებსაც აღწევენ, რაც აისახება მათ მიერ მიღებულ სიგელებსა და დიპლომებში.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის 8 მოსწავლე მონაწილეობდა სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში, მეათეკლასელი ელენე რობაქიძე—ინგლისურში (მასწავლებელი თამთა გოგბერაშვილი) და მეთორმეტეკლასელი ირმა ბრეგაძე—ისტორიაში (მასწავლებელი ნინელი სულამანიძე) წარმატებული შედეგებით გადავიდენ მესამე ტურში და კიდევ ერთ თერჯოლელ „მზეკაბანელ“ გოგონასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. თბილისში, დასკვნით ტურში, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია.

წარმატებული არიან სკოლის ნორჩი „თეატრალები“, რომლებიც მაკჯორჯიას ორგანიზებით დგამენ სპექტაკლებს, მათ ზესტაფონის, ხონისა და სენაკის სცენაზე გამართული სპექტაკლით მაყურებელს თავი ღირსეულად დაამახსოვრეს...

ნინელი სულამანიძემ, როგორც ამ სკოლისა და საზოგადოების ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, პედაგოგმა, რომელსაც ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის საფუძველთა საფუძვლად განათლებული და ზნეკეთილი თაობა ესახება თავისი 48 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა, მათ შორის 21 წელი დირექტორობა სწორედ ამ მიზანს მიუძღვნა. უხარია და აღაფრთოვანებს სკოლის მოსწავლეთა ნებისმიერი წარმატება და მაღსლი აკადემიური მოსწრება... მიაჩნია, რომ მასწავლებელი წლებთან ერთად „იზრდება“, იხვეწება და მისი მოღვაწეობაც უფრო და უფრო სრულყოფილი და წარმატებული ხდება... სწორედ აღსაზრდელებთან გატარებული წლები იძლევა გამოცდილებას, მეტ ცოდნას, ამ შემთხვევაშია სწორედ ის სანუკვარი მიზანიც მიღწეული, რომელიც პედაგოგთა უმთავრესი ზრუნვის საგანია...

ნინელი მასწავლებელს ატესტაციის შედეგად მიღებული აქვს პირველი კატეგორიის, უმაღლესი კატეგორიის, 2-ჯერ სახალხო განათლებულის, ასევე „უფროსი მასწავლებლის წოდებები. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს აგრეთვე სხვადასხვა სერთიფიკატი... წარსულში, როგორც საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი დაჯილდოებულია პრეზიდიუმის საპატიო სიგელით...

მიაჩნია, რომ წოდებები და სკოლაში მიღებული გამოცდილება სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებს საგანი კარგად ასწავლოს და ხელი შეუწყოს მათ ღირსეულ მოქალაქეებად, ქვეყნის მამულიშვილებად აღზრდაში...

ქალბატონი ნინელი თავის ერთ-ერთ დიდ მისიად მიიჩნევს ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას... ამისათვის ის და ასევე ზედა სიმონეთის სკოლის პედაგოგები აქტიურად გამოიყენებენ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ილია ბარდაველიძის მემორიალს, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით გაიხსნა და მასში დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის რწმუნებულმა ზვიად ბაზაძემ და სკოლის დირექტორმა გია ქასრაშვილმა... ასევე სკოლაში პედაგოგ ელისო ჯანელიძის ინიციატივით მოწყობილ მემორიალურ კუთხეს, სადაც ასახულია ომის გმირის ცხოვრებისა და ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტები...

ნინელი მასწავლებლის და სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა საყვარელი ადგილია, აგრეთვე სოფლისა და არამხოლოდ სოფლის სიამაყე მწერალ დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელსაც მოსწავლეებთან ერთად ხშირად სტუმრობენ და დიდი მწერლის შემოქმედებას უფრო თვალსაჩინოდ აცნობენ ახალგაზრდებს...

ქალბატონმა ნინელიმ პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად კვახჭირის სკოლაში დაიწყო. დღემდე დაუვიწყარი და საყვარელია მისთვის იქ გატარებული წლები. უდიდესი პატივისცემით იხსენებს დირექტორს, აწ განსვენებულ გიორგი აფრიდონიძეს. უხარია, რომ ახლა, სკოლას მისი ყოფილი მოსწავლე ლია ჩხიკვაძე აგრძელებს, რომელსაც წარმატებებს უსურვებს...

წლების გამოცდილება ქალბატონ ნინელის აძლევს უფლებას და შესაძლებლობას თავისი შეხედულებები გააჩნდეს განათლების სფეროში რიგ საკითხებთან მიმართებაში.

„განათლების რეფორმა, როგორც ნოვაცია, მისასალმებელია, თუმცა ბევრი საკითხი მოითხოვს დაფიქრებას, დახვეწას, შეცვლასაც კი“. „გადახედვას საჭიროებს სახელმძღვანელოები, როცა ერთი იცვლება მეორეთი, ბუნებრივია მეორე უნდა სჯობდეს პირველს, სამწუხაროდ ყოველთვის ეს ასე არ არის. გაუმჯობესებას საჭიროებს სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხიც“... „სკოლა უნდა გახდეს სრულად აპოლიტიკური“; „პედაგოგის თავისუფალი დრო შეზღუდულია, გადატვირთულია ტრენინგებით, რომელიც შეიძლება ითქვას დიდს არაფერს იძლევა“; „სკოლაში სასურველია ისწავლებოდეს რელიგია და კულტურა, სამხედრო ფსიქოლოგია და ლოგიკა; გარდა ჭადრაკისა სკოლაში უნდა იყოს სხვა სპორტული წრეებიც სახელმწიფო დაფინანსებით...

სკოლის ბიბლიოთეკა მარაგდება მოსწავლეთა წიგნებით, ასევე სასურველია თითო ეგზემპლარი გათვალისწინებული იყოს მასწავლებლებისთვისაც, რაც დაზოგავს მათ მწირ ბიუჯეტს...

მიაჩნია, რომ დიდი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული სკოლის მასწავლებლის ღირსების ამაღლებისათვის... უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა უნდა მოხდეს სკოლის ქულებით, რაც გაზრდის მის ავტორიტეტს...

„დღეს მასწავლებელს დიდი ძალისხმევა მართებს, რომ მოსწავლეებთან ნდობა მოიპოვოს, წამოვიდა კომპიუტერზე დამოკიდებული თაობა, რომელიც მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით იქ იღებს პასუხს. მისთვის პირადი სივრცე ჩაკეტილია, არ საჭიროებენ საზოგადოებასთან კონტაქტს, რაც, ბუნებრივია, ვერ ცვლის ცოცხალ ურთიერთობას, გახსნილობა მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის წარსულს ჩაბარდა.

მასწავლებლის ღირსების ამაღლება, საზოგადოების მეტი ნდობა მის მიმართ საქმეს დიდად წაადგება. მეტი დაფასება და ყურადღება ესაჭიროება მასწავლებელს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ამ საქმეს მიუძღვნა...“ ასე ფიქრობს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური საქმიანობით სკოლასთან, აღსაზრდელებთან დაკავშირებული ქალბატონი და მიაჩნია, რომ სკოლისა და მასწავლებლის პრესტიჟი, უკეთესობისკენ ნამდვილად შეიცვლება.

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის წარმატებულ საჯარო სკოლას ნინელი სულამანიძის სახით ჰყავს ერთ-ერთი დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი, რომელიც თავისი შემართებით, აქტიურობით გვერდით უდგას პედაგოგთა ახალგაზრდულ გუნდს და ყველაფერს აკეთებს ფეხი აუწყოს დღევანდელობის გათვალისწინებით იმ მოთხოვნებს, რომელსაც ქვეყანა, საზოგადოება ელოდება სკოლისაგან.

ნინელი მასწავლებელს სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა „ღვაწლმოსილის“ სტატუსი მიანიჭა. გაიხარა, თუმცა როგორც ამბობს, ფაქტი დარჩა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი... თუმცა, როგორც ამბობს: სკოლამ რაც შეეძლო გააკეთა...

ყველაფრის მიუხედავად, ნინელი მასწავლებელი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა, უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმე, მოსწავლეები და სიყვარულიც საკადრისად უბრუნდება... იმედით, ჩვეული ენერგიით, ქალური ეშხითა და შემართებით აგრძელებს საყვარელ საქმიანობას და საუკეთესო მაგალითს აძლევს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს.

***

ამას წინათ პროექტის „ვიზიტი საქართველოს პარლამენტში 2023-ის“ ფარგლებში დეპუტატ ბეჟან წაქაძის ინიციატივით სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების ერთ ჯგუფს უმასპინძლეს, რომელთა შორის იყო ქალბატონი ნინელი სულამანიძე... ღვაწლმოსილ პედაგოგს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო ტური, რომელიც პარლამენტში ჩაუტარდათ და საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომა, რომლის ნაწილს დაესწრნენ მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებისთვის საკანონმდებლო ორგანოს ისტორიის, ფუნქციისა და საქმიანობის გასაცნობად.

***

ნინელის ამას წინათ მეგობრებმა დაბადების დღე მიულოცეს. „თერჯოლა“ უერთდება მილოცვას, დაგვიანებით, თუმცა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

მზია ცქიფურიშვილი

გილოცავთ!
ნიკოლოზ (შუქური) ვერულაშვილი—77

ბატონო ნიკოლოზ!

გილოცავთ დაბადებიდან 77-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, კიდევ მრავალი ნაყოფიერი წელი გაგეტარებინოთ ოჯახისა და ხალხის სამსახურში. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის, ახლობლების მფარველი.

ომარ ჭურაძე, ზვიად რობაქიძე, ზაალ პატარიძე, გურამ კუპატაძე, გოჩა ტოფაძე, გოჩა ბუცხრიკიძე

ფეხბურთი-გაუხუნარი ფენომენი

(უწყვეტი ძაფები)

მწვანე მინდორზე კვარაცხელიას გამოჩენამ ერთგვარად მიძინებული ქართული ფეხბურთი კვლავ გაგვახსენა თავისი ხიბლით; თუ გნებავთ თავისი სიდიადითაც.

ძველ საქაღალდეში გაყვითლებულ-გაცრეცილ ქაღალდის ფურცელს მომიხვდა მზერა... როგორ გავიხარე!.. მინდა ფეხბურთის მოყვარულებს სიხარული გავუზიარო.

თითქოს დაუდევრად, თითქოს ნაჩქარევად მოსმულ კალამს როგორ გამოუძერწავს ჩვენი ფეხბურთის კორიფეების მახასიათებელი ნიშნები!

ძვირფასო ფეხბურთის მოყვარულო მკითხველო გაიღე ორიოდ წუთი და შენც გაიხსენე:

—ბორის პაიჭაძე—ევროპელთაგან „ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებული.

ფეხბურთის ფანატიკოსები „ირწმუნებოდნენ“, რომ მას ბურთი ფეხზე ჰქონდა „მიკერებული“.

—ავთანდილ ღოღობერიძე—მაღალ ბურთს ისე „ჩამოხსნიდა“ ფეხით, გეგონებოდათ „ლეღვი“ მოწყვიტაო.

—დაუღლელი, მანუჩარ მაჩაიძე—თავაწეული ქორი! მწვანე მინდორზე თოვლჭყაპშიც კი წაქცეული არავის უნახავს.

—სლავა მეტრეველი—„მეტეორი“.

—მიხეილ მესხი—„თავზარდამცემი იყო, როგორც ვულკანი და ლამაზი, როგორც ტანგო“;

—ვლადიმერ გუცაევი— მოწინააღმდეგე მცველების მუდმივი თავსატეხი;

—ზაურ კალოევი—თვით თამაშის დიდი ოსტატი.

—დავით ყიფიანი—„მინდორზე ისე დადიოდა როგორც სოფლის სკოლის დირექტორი საკუთარი სკოლის ეზოში“...

—მურთაზ ხურცილავა—„კლდეკარის ერისთავი!“

—ალექსანდრე ჩივაძე—ფეხბურთის კლასიკოსი!

—ვლადიმერ ბარქაიას („სიომა“)—თამაშზე გასვლის წინ მთავარი მწვრთნელი არასდროს აძლევდა პერსონალურ დავალებას მას მიაჩნდა, რომ „სიომამ“ თვითონვე იცოდა რა და როგორ გაეკეთებინა.

ნ. იმერლიშვილი

ვიქტორინა

ყოფილ ჩხარის რაიონში თერჯოლა (ადრინდელი სახელწოდება—„სატურია“) ყველაზე დიდი სოფელი იყო როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე ტერიტორიულადაც. სოფლის ადმინისტრაცია (სასოფლო-საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა) და სხვადასხვა დანიშნულების დიდ-პატარა ნაგებობები (საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, სასადილო, ქართული პურის საცხობი (თონე), სამჭედლო, მაღაზია, საპარიკმახერო, აფთიაქი, სახარაზო, და სხვ.) მჭიდროდ იყვნენ განლაგებულნი საავტომობილო გზის გასწვრივ. ამ მატერიალურ ფასეულობებს მორიგე გუშაგები იცავდნენ დაღამებიდან გათენებამდე.

კოლმეურნეობის კანტორის დარაჯს გარდა იმისა, რომ უნდა დაეცვა მასზე მინდობილი ობიექტი, სხვა ფუნქციაც ჰქონდა დავალებული. გამოიცანით—რა იყო ის სხვა მოვალეობა?

***

ახლა სოფლად იშვიათადღა თუ შეხვდებით ხარ-კამეჩსა და ურემს.

სამაგიეროდ სოფელმა შემოგვინახა თავის წიაღში შობილი...

—რა შემოგვინახა სოფელმა?

***

შესაძლებელია ადამიანი ერთი ნახვითვე გამოიცნოთ.

როგორ?

პასუხი მარტივია...

***

თოვლი ცივია...

მაგრამ თოვლი შეიძლება კიდევ იყოს...

***

ვინ შეიძლება საბრძოლო იარაღს გამოეთხოვოს: დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურე? პენსიაში გასული პოლიციელი? მოხუცი მონადირე? ტყვედ ჩავარდნილი? დაპატიმრებული შეიარაღებული მძარცველი?

***

მუნჯის ენა ადვილი გასაგებია, თუ...

მარიამ ფანჩულიძე შალვა ქაშაკაშვილი

ამ დღეებში დიდი გულისტიკივილი მოგვიტანა ორი თერჯოლელი ახალგაზრდის უდროოდ გარდაცვალებამ. ორივე ჩვენი საჯარო სკოლების ორიოდე წლის კურსდამთავრებული იყვნენ, 19-20 წლისანი...

მარიამ ფანჩულიძემ ჩხარის №1 საჯარო სკოლა დაამთავრა, შალვა ქაშაკაშვილმა კი ახალთერჯოლის საჯარო სკოლა. ამ დიდი ტრაგედიის გამო თანაუგრძნობთ გარდაცვლილი ახალგაზრდების ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს, აღმზრდელ-პედაგოგებს...

სამარადჟამო ნათელი დაუმკვიდროს მათ უფალმა!

ახალთერჯოლის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 2020-2021 სასწავლო წლის კურსდამთავრებულის

შალვა ქაშაკაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს რამინ, რამაზ და ჟილინა ქაშაკაშვილებს შვილის, ძმისშვილისა და შვილიშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა დავითის ძე კალატოზი

და სამძმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ივნისი

1—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ნინოობა
4—სულთმოფენობა
5—სული წმინდის დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

—ბავშვები მუდამ დაჟინებით ცდილობენ იმის გაგებას, რის გაგებასაც მშობლები უმალავენ.

—ბავშვებთან სიფრთხილე გვმართებს. მათ თვალებს არაფერი გამოეპარებათ.

—ბავშვებში აირეკლება და მათშივე ილექება ყოველი დღის ავან-ჩავანი.

—ბავშვობის ხანა ბუნების ყველაზე ლამაზი საჩუქარია.

—ბავშვები ბედნიერები არიან. მათ ხომ არ იციან რა არის ცხოვრება!

—ბავშვებს კომპიუტერი ბავშვობას უმალავს.

—დიდი ადამიანები ბავშვური გულწრფელობით ხასიათდებიან.

—ბავშვობისდროინდელი სისულელეები გაიხსენეთ — დღის სიმძიმე შეგიმსუბუქდებათ.

—ადამიანის ფილოსოფიას კუკუდამალობანას თამაში უდევს საფუძვლად...

***

ალბერტ აინშტაინის საოცარი გამონათქვამიც გავიხსენოთ: „ბავშვების თამაშის გაგებასთან შედარებით თვით ატომის შესწავლა ბავშვური თამაშია!

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

დედა-ბუნება ჩვენი სავიზიტო ბარათი



მას უნდა მოვეფეროთ, მოვუაროთ და დავიცვათ. მტვერი არ უნდა დაედოს ბუნების ამ ლამაზ ფერწერულ ტილოს.

პატივი მივაგოთ მის უდიდებულესობას, როგორც მბრძანებელს.

ბუნებრივი კლიმატი გვიქმნის პირობებს ფლორისა და ფაუნის ზრდა-განვითარებისთვის. ხელს ნუ შევუშლით! მოვუწოდებთ ბირდაბირებითა და აწ უკვე „დრუჟბებით“ შეიარაღებულ შეშის მაძიებელ-მომპოვებლებს ყურად იღონ ესე ყოველი და ხელს ნუ შეუშლიან ბუნების კეთილ ნებას — მოგვამარაგოს ჟანგბადით, ნიადაგი დაიცვას მეწყერების, ეროზიებისა და ღვარცოფებისგან...

ხშირად გამოვნახოთ დრო ბუნების წიაღში სახეტიალოდ (ამ სიტყვის კარგი გაგებით). ფოტოზე აღვბეჭდოთ ის იდუმალება, მხოლოდ ტყეში რომ იმალება...

შევიგულოთ წაბლის ხეები, ან იქნებ შინდს გადავეყაროთ, ან სოკოს ახალ ნაწვიმარზე...

მითხარით—სხვა რომანტიკა როგორღა ვინატროთ?

აქეთაც მივხედოთ შინა ეზო-გარემოს...

ხეხილი, დეკორატიული მცენარეულობა და ვარდ-ყვავილი ვახაროთ.

თუ მყნობასა და ე.წ. დაკალმებაში გავიწაფავთ ხელს რაღა აჯობებს — წარმოუდგენელ სიამოვნებას მოგვანიჭებს ყოველი გახარებული კვირტი თუ ამონაყარი.

დაგვიჯერეთ, წინ დიდი სიამოვნება გელით. ბუნებასთან მეგობრობას არაფერი შეედრება.

ცალკე მინდა მოგმართოთ და გთხოვოთ ამ საქმის მცოდნენო, ბუნების ქომაგებო, — აიყოლიეთ ახალგაზრდები, დააინტერესეთ, ნუ დაზარდებით და ასწავლეთ ის, რაც იცით. ამით დიდ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებთ.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ავტორის მინაწერი:

ახლა სინანულით ვიხსენებ იმ პერიოდს, როცა ცნობილმა აგრონომ-სელექციონერმა ბ-მა ნიკოლოზ ზარნაძემ თავის ხელით გამოყვანილი თეთრი ქლიავის („ჩხარი-1“, ასე ერქვა) ორი ნერგი მაჩუქა და აღმითქვა, თუ დროს გამოვნახავდი — ამ საინტერესო საქმეს მაზიარებდა.

ჩემდა სამწუხაროდ ეს ვერ მოვახერხე... ნეტა უკეთესს რას ვაკეთებდი იქ, სადაც ვიყავი?..

ნუგზარ გამყრელიძე

„გეკაფოთ - რაც ულრანია, აგევსოთ - რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს, რაღაც სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2023 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვებთან ერთად, რასაც ამ გაზეთის ამ ნომერში ვაქვეყნებთ, კარგი იქნებოდა თუ ყველა სკოლის კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს...

ასეც გადავწყვიტეთ.

თერჯოლის ყოველ მომდევნო ნომერში სხვა კურსდამთავრებულთა სურათებსაც იხილავთ.

წარმატებების გზით ევლოთ მათ!

„თერჯოლა“

გოდოგნის საჯარო სკოლა

ბარდუბნის საჯარო სკოლა

გოგნის საჯარო სკოლა

რუფოთის საჯარო სკოლა

ეწრის საჯარო სკოლა

ჩხარის №2 საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872